სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/19

ქ. თბილისი 24 აპრილი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ გამარჯვებულისათვის გოგა გიორგობიანის სახელობის ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/80 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დაწესდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ გამარჯვებულთათვის გოგა გიორგობიანის სახელობის ფულადი ჯილდო 5000 ლარის ოდენობით;
2. ფულადი ჯილდო გაცემულ იქნას ყოველწლიურად, 25 მარტს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური მუსიკალური კონკურსის - „სტუ სტარის“ ფინალურ ღონისძიებაზე, ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირებზე;
3. ფულადი ჯილდო გაიცეს უნივერსიტეტის ბიუჯეტში შემოწირულობის სახით მიღებული დაფინანსების ფარგლებში;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**